მონიტორინგის ანგარიში № 3

აუდიტის ანგარიშის №	3
თარიღი:	28 ნოემბერი 2019/10:30 – 18:00
ორგანიზაციის დასახელება:	Georgian Veritas
მონიტორინგის ჯგუფი:	დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, მარია პოლიაკოვა, ნინო ასათიანი
აუდიტის მოცულობა:	საზღვაო კოდექსი, ხელშეკრულება

1. **<u>შედეგები:</u>**

1. **რისკები -** წარმოდგენილია რეესტრში ნდ N 2-06-05. რისკები შედგენილია 2017 წლის 06/09-ში. რისკების გადახედვის მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. ირღვევა სტანდარტის ისო 9001:2015-ის 6.1-ი პუნქტის მოთხოვნა.
   შეუსაბამობა.

2. **კონტექსტი და დაინტერესებული მხარეები -** კონტექსტი და დაინტერესებული მხარეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ხარისხის სახელმძღვანელოში მე-4 პუნქტში. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კონტექსტისა და დაინტერესებული მხარეების მონიტორინგისა და ანალიზის შესახებ.
   შეუსაბამობა.

3. **შემაჯამებელი მიმოხილვა** - შემაჯამებელი მიმოხილვა ჩატარდა 16/08/2019წ (ნდ N 2-03-12). შემაჯამებელი მიმოხილვის შემომავალი მონაცემები არ შეიცავს ინფორმაციას კონტექსტის, დაინტერესებული მხარეების და რისკების შესახებ, რაც მოთხოვნილია ისო 9001:2015 9.3. პუნქტში. ასევე, გამომავალ მონაცემებში არ ჩანს რესურსების ადეკვატურობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები და გაუმჯობესების გზების დასახვა.
   შეუსაბამობა.

4. **შიდა აუდიტი** - შემოწმდა 2019 წლის შიდა აუდიტის შედეგები. შემოწმდა ბრძანება N 12 – 09/08/2019წ. შიდა აუდიტორმა გამოავლინა 2 უმნიშვნელო შეუსაბამობა (N 19.ВП.01.01

და 19.ВП.01.02). თუმცა, შიდა აუდიტის პროცესთან დაკავშრებით სააგენტოს მიერ ფიქსირდება შემდეგი. კომპანია სერტიფიცირებულია ისო 9001:2015 ვერსიით 2018 წელს. ხარისხის სახელმძღვანელო განახლებულია ახალი სტანდარტის მიხედვით. კომპანიის შიდა აუდიტის პროცესის თანახმად შემოწმების კითხვარი დგება ხარისხის სახელმძღვანელოს პუნქტების მიხედვით და ისე მიმდინარეობს სტანდარტის ყველა სავალდებულო მოთხოვნის შესრულების გადამოწმება. კითხვარში ცვლილებები არ არის ასახული, კერძოდ, ახალი სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნები: კონტექსტი, რისკები, დაინტერესებული მხარეები არ არის შეტანილი და შესაბამისად შემოწმებული შიდა აუდიტის დროს.

შეუსაბამობა

5. **გარე აუდიტი** - 2019 წლის 05.09.2019წ. ჩატარდა საზედამხედველო აუდიტი. დაფიქსირებულია ერთი შეუსაბამობა დოკუმენტირებული ინფორმაციის შესახებ (SF02-NCR – Rev. 3).

   შენიშვნა არ გაგვაჩნია.

6. **სურვეერები** - კომპანიას დასაქმებული ჰყავს 3 სურვეერი და 1 ახალ აყვანილი მამუკა მოდებაძე (2017 წლის სექტემბერი). ბოლოს გავლილი ტრეინინგი დასტურდება 2016 წლის 05 მარტით (ედემ ჯაკობია - N UA/2016/NS/02 – Basic & General Certification and Qualification Training of Marine Surveyor). კომპანიას გააჩნია „პერსონალის აყვანისა და პირადი საქმეების აღრიცხვის პროცედურა" - ნდ N 2-04-04 – 21/06/2018. მამუკა მოდებაძის პირად საქმეში განთავსებულია რეზიუმე, დიპლომი ბნტუ N 000002 – 18/02/2010წ - „1403 - გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია", გემის მექანიკოსის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. ასევე საქმეში განთავსებულია რამდენიმე მოკლევადიანი ტრეინინგების დამადასტურებული დოკუმენტაცია, რომელიც გავლილი აქვს 2002 – 2004 წლებში. პროცედურაში არ არის დადგენილი ტრეინინგების პერიოდულობა.

   ფიქსირდება შენიშვნა.

7. **საკლასიფიკაციო საზოგადოების წესები** - გემების ექსპლუატაციის ტექნიკური ზედამხედველობის სახელმძღვანელოები - / ზომამცირე მცურავი საშუალებების ტექნიკური დათვალიერების წესები / საზღვაო გემების აღჭურვის წესები - არ არის განახლებული 2016 წლის შემდეგ. დოკუმენტების შემუშავებისა და მართვის შიდა ნორმატიული დოკუმენტების პროცედურის მე-11 პუნქტში წერია, რომ შიდა ნორმატიული დოკუმენტების პერიოდული შემოწმება (ნდ 2-03-01) არ უნდა

აღემატებოდეს 12 თვეს. ყველა დოკუმენტი, რომელიც შემოწმდა ორგანიზაციაში არის 2017 / 2016 წლით წლით დათარიღებული.

ფიქსირდება შეუსაბამობა.

8. **სურვეერები -** შემოწმებულ იქნა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პროგრამა НД N2-06-03 და НД N2-06-02 სურვეერის სპეციალობის და პრაქტიკული გადამზადების (ელექტრო რადიო და მექანიკოსის სპეციალობა). ორივე პროგრამაში გაწერილია თემატიკა, წყარო, მეთოდი, დრო, შესრულება, რაც უნდა დასტურდებოდეს უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით. აღნიშნულ დოკუემტში არ ფიქსირდება ხელმოწერები და შესრულების თარიღები.

ფიქსირდება შენიშვნა.

9. **სურვეერები -** აუდიტის დროს მოთხოვნილი იქნა ერთიანი დოკუმენტი სურვეერების დაყოფა კატეგორიებად, კერძოდ, სურვეერები რომელ გემებს ამოწმებენ და რა მიმართულებით. ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი.

ფიქსირდება შენიშვნა.

10. **სურვეერები -** შემოწმებული იქნა სურვეერების ადგილზე შემოწმების პროცედურა. ორგანიზაციამ წარმოადგინა 2019 წლის ანგარიში N ВПК-02 სურვერეების ადგილზე ჩატარების შემოწმება, სულ განხორციელდა 5 ჯერ.

ეძლევათ რეკომენდაცია - სურვეერების უკეთესი და ეფექტური მუშაობის მიზნით, უმჯობესია ყოველი წლის დასაწყისში დაიგეგმოს სურვერთა ადგილზე შემოწმების პროცესი გემების სპეციფიკის მითითებით.

11. **საკლასიფიკაციო საზოგადოების წესები** - აუდიტის პერიოდში გადახედილი იქნა საკლასიფიკაციო საზოგადოების წესები. წესები არის მოძველებული და საჭიროა წესების განახლება საეთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2020 წლის სექტემბრის ბოლომდე ეძლევათ რეკომენდაცია წესების განახლებასთან დაკავშირებით. წესის დამტკიცებამდე აღნიშნულების გადმოგზავნა სააგენტოში შესათანხმებლად.

12. **მონაცემთა ბაზა -** შემოწმებულ იქნა ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა. არსებობს მონაცემთა ბაზა გემების კატეგორიების და წლების მიხედვით. წელიწადში ერთხელ ხორციელდება მონაცემების გადატანა CD დისკზე.

ეძლევათ რეკომენდაცია - cd დისკი არის მალე ფუჭებადი ინფორმაციის მატარებელი, შესაბამისად მასზე დატანილი ინფორმაციის დაკარგვის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე

სხვა ნებისმიერ მატარებელზე (მაგ. Hard drive, icloud, google drive). ჩანაწერი წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას, აქედან გამომდინარე, ორგანიზაციამ გადაწყვიტოს უფრო მდგრად მატარებელზე ინფორმაციის გადატანა გრძელვადიანი შენახვის მიზნით.

13. **ვერტიკალური აუდიტი -** მიმდინარე წლის 10 დეკემბერს საკლასიფიკაციო საზოგადოებას ჩაუტარდა ვერტიკალური აუდიტი სააგენტოს ინსპექტორის ზედამხედველობის ქვეშ, სასწავლო გემ "CADET"- ზე, ბათუმის ნავსადგურში. შემოწმებულ იქნა გემის ყველა ძირითადი მექანიზმი და ასევე მოხდა გემის ვიზუალური დათვალიერება. გემზე აღმოჩენილ იქნა შეუსაბამობები, კერძოდ:

- ჟილეტები არ არის შემოწმებული ყოველწლიურად, რამოდენიმე ჟილეტს არ გააჩნია მანათობელი;
- სამაშველო წრე საჭიროებს შემოწმებას;
- პარაშუტიანი სასიგნალო რაკეტა 2 ცალი საჭიროებს შეცვლას (ხელის ფალშფერი 2 ცალი, წყალში მცურავი ნარინჟისფერი შუშხუნა 2 ცალი საჭიროებს შეცვლას);
- საჭის პოზიციის მაჩვენებელი საჭიროებს განახლებას;
- რადიონავიგაციური საშუალებები საჭიროებს ყოველწლიურ შემოწმებას;
- სახაძრო შლანგი საჭიროებს შემოწმებას;
- მარჯვენა ბორტზე არსებული ამწე მოწყობილობა საჭიროებს შემოწმებას
- ბატარიების დასამუხტი მოწყობილობა საჭიროებს შემოწმებას;
- გემზე არ არის Safety Management Certificate.

აღიარებული ორგანიზაციის სურვეერის მიერ ჩატარებული შემოწმებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია, ვეთანხმებით ვერტიკალური აუდიტის დროს აღმოჩენილ შენიშვნებს.

2. დასკვნა

2019 წლის აუდიტმა დაადასტურა, რომ საკლასიფიკაციო საზოგადოება დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, თუმცა ორგანიზაციაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა არ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მონიტორინგის ჯგუფი მიზანშეწოლილად მიიჩვენს 2020 წელს დაესწროს სასერტიფიკაციო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ სახედამხედველო აუდიტს. აუდიტის თარიღის შეთანხმება წინასწარ ეცნობოს სააგენტოს. ასევე, 2020 წელს 2019 წლის მონიტორინგის შედეგების

გადამოწმება მოხდება ადგილზე, რის შემდეგ აღიარების გაგრძელებასთან დაკავშირებით.	მიიღება გადაწყვეტილება ორგანიზაციის

3. დამატებითი მოთხოვნა

საქართველოს საზღვაო კოდექსის 44[9] მუხლის შესაბამისად სააგენტოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების მქონე აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია სააგენტოსთვის ყოველწლიურად ხელმისაწვდომი გახადოს ხარისხის მართვის სისტემის შედეგები. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობამ ირიბად გამოიწვია წლევანდელი შედეგები ხარისხის მართვის სისტემის კუთხით. გთხოვთ გაითვალისწინოთ საზღვაო კოდექსის მოთხოვნა და ყოველწლიურად გვაცნობოთ თქვენი ხარისხის მართვის სისტემის შედეგები, რაშიც იგულისხმება შემაჯამებელი მიმოხილვის შედეგად დასახული მიზნები, შიდა და სასერტიფიკაციო აუდიტების შედეგები.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე

ირაკლი სირაბიძე

მარია პოლიაკოვა

ნინო ასათიანი

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: 13/01/2020

საკლასიფიკაციო ორგანიზაციის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):